THE SEPARATIST IDEA OF UNITING "TWO OSSETIAS" AND GEORGIAN-OSSETIAN PUBLIC OPINION IN THE 1990S

„ორი ოსეთის" გაერთიანების სეპარატისტული იდეა და XX საუკუნის 90- იანი წლების ქართულ-ოსური საზოგადოებრივი აზრი

Shota Vadachkoria
Doctor of Historical Sciencies,
Professor of the Technical University, Tbilisi, Georgia.
ORCID: 0000-0002-8376-6495
(+995) 592 13 47 23; shota1951@gmail.com;

Abstract

The present article, by analyzing the documentary material, substantiates that: 1) the completion of the construction of Roki Tunnel (on November 5, 1981) and the opening of Tskhinvali-Java-Roki Road between Georgia and Russia was a factor that strengthened the offensive Ossetian separatism, in particular: a) to give the struggle for the unification of two Ossetias (South and North Ossetia) a new impetus; b) to gradually expel the Georgian population, who hampered the "Ossetian idea", from Tskhinvali-Java-Roki Road section and subsequent settlement of the vacated areas with the Ossetian population as soon as the favorable situation was created by Ossetian separatists; 2) giving immeasurable rights to governing circles of the Autonomous District of South Ossetia by the government of Soviet Georgia, under the guise of internationalism, created an opportunity for Ossetian separatists to gradually "swallow" Georgian villages of Tskhinvali Region; 3) the documentary material evidences that Ossetian separatists activated by order of the Russian government, by distorting the historical reality, used several forms of ideological and political influence on Ossetian population: a) by using the map drawn by Alan Chochiev, the leader of "Adamon Nihas", depicting the "settlement" of the Alans, Tskhinvali Region in the South Caucasus was intentionally declared as a historical homeland of the Alans; b) the support of a significant part of Ossetian intelligentsia from Tskhinvali Region of the idea of Chochiev's idea of unification of "two Ossetias" aimed at creating "evidence that Georgians conquered" Ossetian territory and increased hatred of Ossetians towards them; 4) by the joint efforts of Georgian public opinion representatives and Ossetian intelligentsia (scientists, writers, cultural workers, and students) defending the truth, the following facts were fundamentally justified in printed media: a) it was possible to preserve the cultural and national identity of the Ossetian people through the coexistence of the Ossetians and Georgians within Georgian state; b) strong propaganda to annex "South Ossetia" to North Ossetia aimed at realizing the "hypothesis" of A. Sakharov to demolish Georgia as a "small empire" and contained actions against the territorial integrity of the country.

Key words: Osetia, Unity, Propaganda, Society.

შოთა ვადაჭკორია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0000-0002-8376-6495
(+995) 592 13 47 23; shota1951@gmail.com;

აბსტრაქტი

საკვლევ პრობლემასთან მიმართებაში არსებული დოკუმენტური მასალის საფუძვლიანი გაანალიზებისა და ქართულ-ოსური საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე ნაშრომში დასაბუთებულია: 1)როკის გვირაბის მშენებლობის დამთავრება (1981 წლის 5 ნოემბერი) და საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელი საუღელტეხილო ცხინვალი-ჯავა-როკის სატრანსპორტო გზის ამოქმედება, შეტევითი ოსური სეპარატიზმის გაძლიერების ხელშემწყობი ფაქტორი გახდა. მათი ძალისხმევით: ა)„ორი ოსეთის“ („სამხრეთ ოსეთი“ და ჩრდილო ოსეთი) გაერთიანებისთვის ბრძოლა, ახალ საფეხურზე იქნა აყვანილი; ბ) ცხინვალი-ჯავა-როკის გზის მონაკვეთის სივრციდან, „ოსური იდეის“ ხელშემშლელი ქართული მოსახლეობის ეტაპობრივი გამოდევნა და გამონთავისუფლებული ტერიტორიების ოსური მოსახლეობით შევსება, ოსი სეპარატისტების მხრიდან ხელსაყრელი სიტუაციის შექმნისთანავე ხორციელდებოდა; 2)საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებისგან, ინტერნაციონალიზმის ნიღბით, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის მმართველი წრეებისათვის განუზომელი უფლებების მიცემამ, ოს სეპარატისტებს, ცხინვალის რეგიონის ქართული სოფლების საფეხურებრივად „ჩაყლაპვის“ შესაძლებლობა შეუქმნა; 3)დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ რუსეთის ხელისუფლების დაკვეთით გააქტიურებულმა ოსმა სეპარატისტებმა, ისტორიული სინამდვილის მრუდე სარკეში წარმოჩენით, ოსურ მოსახლეობაზე იდეოლოგიურ-პოლიტიკური ზემოქმედების რამდენიმე ფორმას მიმართა: ა)„ადამონ ნიხასის“ ლიდერის ალ.ჩოჩიევის მიერ ალანების „განსახლების“ შესახებ შედგენილი რუკით, სამხრეთ კავკასიაში ალანების ისტორიულ საცხოვრისად ცხინვალის რეგიონი,- მიზანმიმართულად იქნა გამოცხადებული; ბ)„ორი ოსეთის“ გაერთიანების ალ.ჩოჩიევისეული იდეიისადმი ცხინვალის რეგიონის ოსური ინტელიგენციის დიდი ნაწილის მხარდაჭერა, ოსურ მოსახლეობაში „სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის“ ქართველებისგან „დაპყრობის მტკიცებულების“ შექმნაზე და მათდამი სიძულვილის გაღრმავებაზე იყო გათვლილი; 4)ქართული საზოგაროებრივი აზრის წარმომადგენლებისა და ჭეშმარიტების დაცვის საფეხურზე მდგომი ოსური ინტელიგენციის (მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები, სტუდენტები) ერთობლივი ძალისხმევით, პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში საფუუძვლიანად იქნა დასაბუთებული: ა)ოსი ხალხის კულტურული და ეროვნული იდენტობის შენარჩუნების გარანტიის შექმნა, მხოლოდ ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში ოს-ქართველთა თანაცხოვრებით იყო

შესაძლებელი; ბ)„სამხრეთ ოსეთის“ ჩრდილოეთთან მიერთების ფართომასშტაბიანი პროპაგანდა, ა.სახაროვისეული „ჰიპოთეზის“- საქართველოს, როგორც „პატარა იმპერიის“ დაშლას ისახავდა მიზნად და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებას შეიცავდა.

საკვანძო სიტყვები: ოსეთი, გაერთიანება, პროპაგანდა, საზოგადოება, აზრი.

შესავალი

XXსაუკუნის90-იანიწლებისქართულ-ოსურიუმძიმესიურთიერთობის ფონზე, აუცილებლობას იმ ძირითადი მიზეზების გარკვევა წარმოადგენს, რამაც ცხინვალის რეგიონის ბაზაზე „ორი ოსეთის“ გაერთიანების ისევ წინ წამოწევა და ფართომასშტაბიანი პროპაგანდა განაპირობა. ჩვენს მიერ მოპოვებული დოკუმენტური მასალის გაანალიზებით, წინამდებარე ნაშრომში დასაბუთებულია: 1)„ადამონ ნიხასის“ ლიდერის ალ. ჩოჩიევის მიერ სამხრეთ კავკასიაში ალანების „განსახლების“ შესახებ შედგენილმა რუკამ და მისადმი ოსური ინტელიგენციის დიდი ნაწილის მხარდაჭერამ, ოსურ მოსახლეობაში ცხინვალის რეგიონის ქართველებისგან „დაპყრობის“ ყალბი ილუზიის შექმნას შეუწყო ხელი; 2)„სამხრეთ ოსეთის“ ჩრდილოეთთან მიერთების ოსი სეპარატისტების გეგმა, ა.სახაროვისეული „ჰიპოთეზის“- საქართველოს, როგორც „პატატა იმპერიის“ დაშლაზე იყო დაფუძნებული და სამხრეთ კავკასიაში რუსული გეოპოლიტიკური მიზნების განხორციელებას ითვალისწინებდა; 3)XX საუკუნის 90- იანი წლების პრესის ფურცლებზე დაბეჭდილი მასალების სიღრმისეულად შესწავლისა და გაანალიზების შედეგად გახდა შესაძლებელი, საკვლევი პრობლემისადმი ქართულ-ოსური საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულების სრულფასოვნად წარმოჩენა და მისი მიუკერძოებელი შეფასება.

მეთოდები

კვლევა ძირითადად საისტორიო მეცნიერებაში აპრობირებულ მეთოდებს ეფუძნება. თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, უპირატესობა ისტორიზმისა და ობიექტივიზმის უნივერსალური მეთოდოლოგიის გამოყენებას მივანიჭეთ. საკვლევ საკითხთან მიმართებაში ვისარგებლეთ ანალიზისა და ზინთეზის, კრიტიკულ-ანალიტიკური მეთოდით. შესაბამისი დოკუმენტებისა და სხვა სახის მასალებიდან აღებული მონაცემებისადმი ასეთი ფორმით მიდგომამ, ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული დასკვნების მიუკერძოებლობის შესაძლებლობა მოგვცა.

შედეგები

„ორი ოსეთის“ გაერთიანების იდეის „გაცოცხლებაზე“ დაფუძნებული აქტიური ოსური სეპარატიზმის გაღრმავებას, როკის გვირაბის მშენებლობის დამთავრებამ (1981 წლის 5 ნოემბერი) შეუწყო ხელი. ალანთა განსახლების შესახებ, „ადამონ ნიხასის“ ლიდერის ალ.ჩოჩიევის მიერ შედგენილმა ფანტასტიკურმა რუკამ და საქართველოს „პატარა იმპერიის“

ა.სახაროვისეულმა „ჰიპოთეზამ“, ოსური მოსახლეობის დიდი ნაწილის ცნობიერებაში ქართველი ერის „დამპყრობლებად“ წარმოაჩინას დაუდო სათავე.

ქართველი და ჭეშმარიტების საფეხურზე მდგომი ოსური ინტელიგენციის (მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები, სტუდენტები) წარმომადგენლების მხრიდან, ალ.ჩოჩიევის მხარდამჭერთა ზემოაღნიშნული მცდარი შეხედულებების პრესის ფურცლებზე ერთობლივად დაბეჭდილი პუბლიკაციებით მხილების მიუხედავად, ცხინვალის რეგიონის ოსურ მოსახლეობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, იგი ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა. დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ ამ მიმართულებით გადმწყვეტ როლს, საბჭოთა რუსეთისა და მისი ხელქვეითი ცხინვალის რეგიონის სეპარატისტული მმართველი წრეების პოზიცია ასრულებდა. ორივე მათგანი, სამომავლოდ საქართველოს სანიმუშოდ დასჯისთვის შესაბამის ნიადაგს ამზადებდა.

მსჯელობა

სამხრეთ კავკასიაში საქართველოს გეოსტრატეგიული ფაქტორით განპირობებულმა რუსეთის განსაკუთრებულმა ინტერესმა, ოს სეპარატისტებს, „ოსური იდეის“ ძირითადი პრინციპების, წინ წამოწევის და რუსეთის ხელისუფლების მიზნების თანხვედრაში მოყვანის შესაძლებლობა მისცა. მხედველობაში გვაქვს ცხინვალის რეგიონის ქართული მიწების, რუსეთის ფედერაციაში „შეტანის“ მიზნით, „ორი ოსეთის“ გაერთიანების და ერთიანი ოსური სახელმწიფოს შექმნის ფართომასშტაბიანი პროპაგანდა. დასახული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის შემთხვევაში, რუსეთის ხელისუფლებას, შიდა ქართლის ცხინვალის რეგიონზე სამართლებრივი კონტროლის დაწესების შესაძლებლობა მიეცემოდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია, რომ ანალოგიური ფორმით „ოსური საკითხი“, „სამხრეთ ოსეთის ერეოვნული საბჭოს“ წარმომადგენელმა ალ.თიბილოვმა, ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისგან შექმნილი საუწყებათაშორისო კომისიის 1919 წლის 13 ივლის სხდომაზე დააყენა. მიუხედავად იმისა, რომ ოსების აღნიშნული მოთხოვნა, საქართველოს სინამდვილისთვის მიუღებლად იქნა მიჩნეული, ოსმა სეპარატისტებმა „ოსური იდეის“ ისევ წინა პლანზე წამოწევა 1925 წელს სცადეს. ამჯერად, „ორი ოსეთის“ საქართველოს შემადგენლობაში გაერთიანების საფეხური მოსინჯეს. ეს ეშმაკური ფორმაც რომ ვერ გაიყვანეს, ძირითადი ყურადღება როკის საუღელტეხილო გზის მშენებლობის აუცილებლობის მოითხოვნაზე გადაიტანეს. რამდენადაც როკის საუღელტეხილო გზის საჭიროება საბჭოთა რუსეთის იმპერიულ მიზნებშიაც ჯდებოდა, მისი მშენებლობის დაწყების მიზანშეწონილება 1975 წლის 31 დეკემბერს ოსების სასარგებლოდ გადაწყდა. ამ პროექტის დასაფინანსებლად 6,5 მილიონი მანეთი იქნა გამოყოფილი. 1981 წლის 5 ნოემბერს, როკის საუღელტეხილო გზა ოფიციალურად გაიხსნა (ხარაძე, 1996: 347)

აღნიშნული ფაქტი, „ოსური იდეის“ შემქმნელ-მხარდამჭერთათვის

საუკუნოვანი ოცნების აღსრულებას წარმოადგენდა. მეორე მხრივ, სეპარატისტულად მოაზროვნე ოსური ინტელიგენციის გარკვეული ჯგუფების წარმომადგენლებს, „სამხრეთ ოსეთის“ საქართველოდან ჩამოცილების პროპაგანდის გაწევის შესაძლებლობა ეძლეოდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ საბჭოთა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, ოსებისადმი მფარველობის კურსმა და ცხინვალის რეგიონის ქართველების დევნა-შევიწროებისადმი ინდიფერენტულმა დამოკიდებულებამ, მთიდან ბარისკენ დაძრულ ოსებს, ცხინვალში ჩასახლების და იქედან ქართველთა ეტაპობრივად გამოდევნის რეალური პირობები შეუქმნა. 1917 წლის აღწერის მონაცემებთ, ქართულ ქალაქ ცხინვალში 1921 წლის 25 თებერვლამდე არცერთი ოსი არ ცხოვრობდა. საქართველოს გასაბჭოებიდან 70 წელის პერიოდში იგი ოსურ ქალაქად ჩამოყალიბდა. აღნიშნული რეალობა, ოსი სეპარატისტების ლიდერებს, როკის გვირაბზე ოსების კონტროლის დასაწესებლად, ჯავა-ცხინვალ- როკის გზის სიგრძივ მონაკვეთზე შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას აძლევდა. მათი ძალისხმევა, ჩრდილო ოსეთთან დაუბრკოლებელი კომუნიკაციის შექმნაზე იყო გათვლილი. ქართულ სოფლებზე გამავალი ეს სატრანსპორტო ხაზი, ოსი ლიდერების ხელშემშლელი რომ არ გამხდარიყო, მათ წინაშე დასმიული პირველი რიგის ამოცანას, ამ სოფლების გაოსება წარმოადგენდა. ამისთვის დიდი ჯაფა არ დასჭირდებოდათ, რადგან მაშინდელი საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსანთა წაყრუებით, ოსურ საქმეს წარმატებულად აკეთებდნენ. მხედველობაში გვაქვს, ოლქის სეპარატისტული მმართველი წრეების მხრიდან, ქართული სოფლების- დგვრისისა და გუჯაბაურის მიზანმიმართულად გაოსება და ნაქართველარ სოფლებად გადაქცევა. რაც შეეხება სოფელ თამარაშენს, მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი ოსებმა მიიტაცეს და მისაკუთრებული ადგილებიდან, ქართველები ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით გამოყარეს. ამ დანაშაულებრივ ფაქტთან მიმართებაში, საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება, ქართველთა დასაცავად რეაგირებას არ აკეთებდა. ოფიციალურად ისეთ პოზიცია ეჭირა, თითქოს „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქი, დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. აქედან გამომდინარე, იქ მაცხოვრებელი ქართველების სამომავლო ბედი, ოლქის ხელმძღვანელობის სინდის-ნამუსზე ჰქონდათ მიგდებული. ამ შემთხვევაში, ხელისუფლების პოლიტიკით კმაყოფილი ქართული ინტელიგენცია და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებები, ოს ნაცისტებთან ინტერნაციონალისტობდა და ცხინვალის რეგიონის ქართველების ხვალინდელი დღე ნაკლებად ადარდებდათ. ქართული ინტელექტუალური გონის წარმომადგენლების „საღათას ძილით გათანგულობით“, ოსები შესანიშნავად სარგებლობდნენ და ქართული სოფლების საფეხურებრივად „ჩაყლაპვის“ ეტაპობრივ პროცედურას წარმატებით ახორციელებდნენ. ამ ქმედებით იმ კიბის საფეხურს ამზადებდნენ, რომელსაც „ოსური იდეის“ აღსრულების ხელშემწყობი როლი უნდა შეესრულებინა. სამწუხაროდ, ქართველ ერს, მთელი ისტორიის მანძილზე ქუდბედად დაჰყვა: 1) უცხო თესლისადმი საოცარი შემწყნარებლობა და მისი გენეტიკური

კოდისადმი უყურადღებობა, ან კიდევ, ჩადენილი დანაშაულებების კასკადის მივიწყება; 2)ქართულ მიწაზე მოკალათებული უცხოელის განსაკუთრებული უმადურობის გამო, მისადმი დროულად არმიხვედრება და ღვთისმშობლის წილხვედრი მიწის მისაკუთრება-გათავისებაში ხელის არშეშლა. ეს გარემოება ქონდა მხედველობაში ცნობილ ქართველ მწერალს აკაკი გელოვანს, როცა საქართველოში ჩამოსახლებულ თუ შემოსახლებულ უცხო მოდგმის წარმომადგენელთა მიმართ წერდა: „საქართველოში მცხოვ-რებ ხალხთა ისტორიამ ყველაზე უფრო სრულყოფილი ასახვა ჰპოვა საქართველოს მატიანეში, რადგან ჩამოსახლების დღიდან მათი ბედი მტკიცედ უკავშირდება ჩვენი ერის ბედს. სიმართლე უნდა ითქვას: როცა ვაშენებდით, ბევრს ეძინა, გაიღვიძეს, მოეწონათ და იჩემებენ! თან ჩივიან, ვიჩაგრებითო! თუ ბიბლია წაუკითხავთ და თავი ეგვიპტის მონობაში მყოფთ ისრაელებათ წარმოუდგენიათ, ბარემ ბოლომდე მიბაძონ: ბიბლიაც შექმნან და დაუბრუნდნენ ქანაანს, თავიანთ ძველ სამშობლოს, ეგვიპტე მათი არ ყოფილა, ან იმუშაონ, როგორც მოსეს ერი მუშაობდა! ღმერთმა ეშმაკს ჰკითხა: მიწა გინდა თუ მოსავალიო? მოსავალიო! „მაშ წაიღე მოსავალი, მიწა ჩემია!“- უთხრა უფალმა. ალანთა შთამომავალი ეშმაკზე ცბიერი აღმოჩნდა. მიწა უნდა. ასე არა, რამეთუ არ იცის რასა ითხოვს!“

ეს ვრცელი ამონაწერი თითქმის სრულად წარმოაჩენს მტაცებლური და უმადური გენეტიკური კოდის მატარებელთა სახეს. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ, როცა ქართველი ერი აშენებდა, საქართველოში მცხოვრები ოსების დიდი ნაწილი ამ მშენებარე პროცესის შეჩერებასა და დანგრევას ცდილობდა. შორს რომ არ წავიდეთ, ამის ნათელ დადასტურებას, დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ ოსების 1918, 1919, 1920 წლების აჯანყებები წარმოადგენს. რაც შეეხება მათ მიერ რაიმე ღირებულის შექმნას, ქართველ ერს ვერაფრით გააკვირვებენ, რადგან მტაცებლობის და სხვის მიერ შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის მითვისების მცდელობის გარდა, ახალი ვერაფერი შესთავაზეს ცივილიზებულ სამყაროს, რომელსაც ოსური ერქმეოდა. ბოლო ერთი საუკუნის მანძილზე, ქართველ ერს, ღალატით, უმადურობით და შურაცყოფით დაამახსოვრეს თავი. XX და XXI საუკუნეების ისტორიის საარქივო დოკუმენტები ამის უტყუარ დასაბუთებას წარმოადგენს. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის ყველა ეტაპზე (1918-1920, 1990-2021 წწ.) შიდა ქართლის ცხინვალის რეგიონის ოსებმა, მისთვის სიკეთის მყოფელ ქართველ ერს, შეუბრალებლად ზურგში გალესილი მახვილი ჩასცა და რაც მთავარია, იმავე რეგიონის ქართველთა ოჯახების წაბილწვით ისახელა თავი. მსოფლიოს ხალხთა ისტორიიდან ცნობილია, რომ ანალოგიური თვისებები, მხოლოდ მომთაბარე და ცივილიზაციას მოწყვეტილი ერების გენეტიკური კოდის ძირითად ხელწერას წარმოადგენს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გაკვირვებას არ იწვევს, როცა ქართველი ერის მხარდამხარ, ახლად ფეხადგმილი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის სანაცვლოდ, შიდა ქართლის მთიანი ზონის ოსებმა, რუსული იმპერიის სამსახური რომ ამჯობინა. ამ ფაქტორმა განსაზღვრა, ოსების მხრიდან XX საუკუნის 90- იან წლებში ქართველებისადმი ღალატი და

ალესილი მახვილით დაპირისპირება. როცა საკუთარს ძალით გართმევენ, მას ძალითვე შენარჩუნება სჭირდება. თუკი ქვეყანის ხელისუფალს, ამის გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობა არ შესწევს, მისი მოქმედება იმ დონის კალაპოტში უნდა ჩააყენოს, რომ ნგრევის ზღურბლზე მყოფი იმპერიისგან გათამამებულ ოსებს, ერის ღირსება საჯიჯგნად არ მისცეს. მითუმეტეს, მაშინდელი საქართველოს ხელისუფალთ, კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ იმ ეტაპზე ცენტრის ერთადერთ მიზანს, სამხრეთ კავკასიაში პლაცდარმის შენარჩუნება წარმოადგენდა. ამის შესახებ „ნეზავისიმაია გაზეტასადმი“ მიცემულ ინტერვიუში ზ.გამსახურდია ხაზგასმით მიუთითებდა. მისი მტკიცებით, ცხინვალის რეგიონში მიმდინარე ურთულესი პროცესები, საქართველოს წინააღმდეგ ცენტრის სადამსჯელო ოპერაციას წარმოადგენდა და ცხინვალის რეგიონის საქართველოდან ჩამოცილებას ისახავდა მიზნად.

დასახული ამოცანის „შემოვლითი გზით“ შესრულების უებარ საშუალებად, საბჭოთა რუსეთის მაშინდელმა მმართველმა წრეებმა, ოსი სეპარატისტები მიიჩნია. ცენტრისგან დაპროგრამებული მატი ლიდერების ანტიქართული საქმიანობის ოფიციალურად გახმოვანებულ ძირითად არგუმენტად, სსრკ- დან საქართველოს გასვლის სურვილის შეჩერება იქნა დასახელებული. ამის დადასტურებას ტ.კულუმბეკოვის მიერ გაკეთებული განცხადება წარმოადგენს. „ქართველებს სსრ კავშირის შემადგენლობიდან გასვლა სურს, ოსებს კი სსრ კავშირის შემადგენლობაში დარჩენა. სამხრეთ ოსეთი ალანების მიწა-წყალია.“ ანალოგიური შეხედულება ოფიციალურად გაახმოვანა „სამხრეთ ოსეთის“ საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ზნაურ გასიევმა. ერთ-ერთ ინტერვიუში იგი აცხადებდა, რომ „სამხრეთ ოსეთი“ „ჩვენ ქართულ მიწად არ მიგვაჩნია. ჩვენ თავს გავწირავთ თავისუფლებისთვის, მაგრამ ქართველებს არასოდეს არ დავემორჩილებით. ქართ-ველებმა უნდა ცნონ ჩვენი ერის უფლებები.“ იმავე ინტერვიუში იგი სისხლის ღვრის გარდუვალობის აუცილებლობას აანოსებდა, რათა „დაეცვათ ალანების ისტორიული მიწა-წყალი“.

ამ მიმართულებით, ოსური და რუსული საპროპაგანდო საშუალებების მაღალ დონეზე მუშაობის შედეგად, ცხინვალის რეგიონის ოსური მოსახლეობის ძირითადი ნაწილის აღნიშნულ სიცრუეში დარწმუნება შესაძლებელი გახდა. ამის შესახებ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარი კორესპოდენტი გივი ბორცვაძე წერდა: „ოსთა ლიდერის სამოქმედო ლოზუნგმა - სამხრეთ ოსეთი ალანების ისტორიული მიწა-წყალიაო, დიდი გამოხმაურება გამოიწვია ოსთა ფართო მასებში და ცრუ პროპაგანდის ანკესზე წამოგებულები ახლაც არ მალავენ თავიანთ მიზანს და საქვეყნოდ აცხადებენ: უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთო მშობლიურ მიწა-წყალს ქართველი დამპყრობლებისაგან... უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ეს არის ქართველთა და ოსთა კონფლიქტის მთავარი მიზეზი.“

იმ პერიოდის ოფიციალური მასალების გაცნობით ირკვევა, რომ ქართველთა მიერ გაწეული სიკეთისა და მადლიერების დაფასების ნაცვლად, ოსმა სეპარატისტებმა, ქართველებთან ურთიერთობის შეტევითი ფორმა აირჩია და ამ მეთოდის გამოყენებით ცდილობდნენ ქართული

მიწის დაპატრონებას. ამ შემთხვევაში, ქართველი სწავლულებისგან ნასაზრდოები და დაფრთიანებული ოსური ინტელიგენციის ერთი ნაწილი, სეპარატისტების გვერდით იდგა და საქართველოს ისტორიის წარსულს აყალბებდა, ხოლო მეორე ნაწილი, დუმდა და მათი ეს ქმედება ყველაზე „დიდ სიბრძნედ“ მიაჩნდათ. სინამდვილეში, ოსურ სეპარატიზმს თანაუგრძნობდნენ და პირადი ზრახვების ოფიციალურად გამჟღავნებას გაურბოდნენ. ამ ფონზე, ქართული საზოგადოებრივი აზრის მესვეურები იმ ბურუსის გაფანტვას შეეცადნენ, რომელიც რუსული კოლონიალიზმისა და ოსური სეპარატიზმის მხარდამჭერების ძალისხმევით დაგროვდა საქართველოს სახელმწიფოს თავზე. ამ ფაქტის შესახებ, გ. ბორცვაძე გაზ. საქართველოს რესპუბლიკაში 1991წ. 28 ივნისს ოსების მისამართით წერდა: „კეთილი მასპინძლის ღალატისთვის, ბოლშევიკებმა ქართველი ერის დაუკითხავად ავტონომია გიბოძათ, მაშინვე ჯაყოობა დაიწყეთ. სამოცდაათი წლის მანძილზე ქართველთა დისკრიმინაციის მეტი არაფერი გაგიკეთებიათ. სწორედ მაშინ გაგიჩნდათ უსაზღვრო ამბიციები ქართული მიწების მიტაცებისა, რომ შიდა ქართლი ოსეთად გადაგექციათ. ახლა ვითომ ქართველთაგან დაჩაგრულნი, მთელი ქვეყნის გასაგონად გაჰყვირით: „თავისუფლებისთვის თავს გავწირავთო!“ ჰაი დედასა! ვის მიწას ეპოტინებით? ჩვენი მამა-პაპების საფლავების წართმევა გინდათ? თუ თავის დაცვა და თავგანწირვა შეგიძლიათ, წადით იქ ჩრდილოეთში, სადაც თქვენი წინაპრების საფლავებია, იმ ადგილებს მიხედეთ, დიდმა ძმამ ყველაფერი ეროვნული რომ დაგაკარგინათ. ოსები ერთმანეთს მშობლიურ ენაზეც რომ ვეღარ ელაპარაკებით. დროა თქვენ იმ ჩვილს მიხედოთ, აკვანში რომ გიწევთ, თორემ დიდი ძმა იმასაც ხელიდან გამოგაცლით.“

დღევანდელი გადასახედიდან, „დიდი ძმის“ მეშვეობით, ოსმა სეპარატისტებმა გააკეთა ის, რაც „ოსური და რუსული იდეით“ იყო ჩაფიქრებული. ამ საქმეში, ხელშემწყობის როლი საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მოუქნელმა და არსებული სინამდვილის შესატყვისი პოლიტიკური სიტუაციის შეუსაბამო კურსმაც განპირობა. რაც შეეხება ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური სპექტრის დიდ ნაწილს, იგი რუსეთისგან აღმოჩნდა მოსყიდული და ეროვნულის ნაცვლად, ქვეყნის საზიანო საქმე აკეთა. ეს ფაქტია და მათი „ქუჩური მოძრაობის“ ისტორია, ობიექტურ შეფასებას და შესაბამისი განაჩენის გამოტანას საჭიროებს. ასეთი უმძიმესი პოლიტიკური პროცესებით და „გარდაქმნით“ შექმნილი ქაოსით, ოსები შესანიშნავად სარგებლობდნენ. მართალია, ქართული საზოგადოებრივი აზრის მესვეურები ამ ფაქტს საღი გონებით აფასებდა, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა სახელისუფლებო პოლიტიკურ კურსს ენიჭებოდა. ამ მხრივ, აუცილებლობა გარკვეულ კორექტირებას საჭიროებდა, მითუმეტეს, მოსკოვის ხელისუფალთა მხრიდან მხარდაჭერილი „ადამონ ნიხასის“ საპროპაგანდო საშუალებები ურცხვად აცხადებდნენ, რომ არსებული რეალობიდან, ანუ მოსახლეობის კომპაქტური დასახლებიდან გამომდინარე, „სამხრეთ ოსეთი ალანების ქვეყანაა“ და მიწაც ოსი ერის საკუთრებას წარმოადგენსო. ამ შემთხვევაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ძალადობრივ პრინციპს ანიჭებდნენ და არა ისტორიულ და

სამართლებრივ ფაქტორს. ვისაც ძლიერი მოკავშირის შეძენის ნიჭიერება აღმოჩანდა, „თემიდას სასწორმაც“ მის სასარგებლოდ გადაწონა. იმ პერიოდის საერთაშორისო „ფსევდო ლიბერალიზმის“ პოლიტიკური კონიუნქტურა, მოძალადეს თვითნებური მოქმედებისა და ბატონი ერის ჩაწიხვლის რეალურ შესაძლებლობას აძლევდა. ეს მოძალადეც დაუბრკოლებლად მოქმედებდა და ისეთ „ისტორიულ დოკუმენტებს“ ქმნიდა, რომელიც ფანტაზიით მსოფლიო მეზღაპრე გიგანტებსაც კი განაცვიფრებდა. მხედველობაში გვაქვს ქართველი სწავლულებისგან „გამეცნიერებული“ „ადამონ ნიხასის“ ლიდერის ალან ჩოჩიევის მიერ ალანთა განსახლების შესახებ შედგენილი ფანტასტიკური რუკა, რომელიც კასპიის ზღვიდან-შავ ზღვამდე ქართველებს ერთ პატარა მიწის ნაჭერსაც არ უტოვებდა. ამის შესახებ, საყურადღებო ფაქტებია მოტანილი 1989 წელს მზია კობერიძის მიერ დაბეჭდილ საგაზეთო სტატიაში - „ვინ ცდილობს ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერას.“ ალანების განსახლების შესახებ „ადამონ ნიხასელთა“ „მეცნიერულმა“ ნაცოდვილარმა რუკამ თუ რა ზემოქმედება მოახდინა ცხინვალის რეგიონის განათლების მუშაკებზე, ამასთან დაკავშირებით იმავე სტატიაში ვკითხულობთ: „რუკასთან დაკავშირებით ვეკითხები ამ რეგიონის სახალხო განათლების ერთ-ერთ ხელმძღვანელ მუშაკს,... რა აზრისა ხართ მის მონაცემებზე?- იცით, ქართველების ერად ჩამოყალიბება, მგონია შემდგომ პერიოდში მოხდა... რა ვიცი...“ ამ უჩვეულო და გაუგონარ „პასუხთან“ დაკავშირებით მ. კობერიძე დასძენს: „ეს უხერხული მრავალი წერტილი ასე იკითხება: თავიდან ეს ტერიტორია, დღეს საქართველო რომ ჰქვია, ალბად, ალანებისა იყო. მერე მოვიდნენ დამპყრობნი და ა.შ. დიახ, ამ რუკამ თავისი საქმე ბრწყინვალედ შეასრულა. თვით ამ კაცშიაც კი, რომელსაც ქართველთა და ოსთა წარმომავლობაზე და ურთიერთობაზე დღემდე ცოდნაც ჰქონდა და პოზიციაც, გარემომ ამ თესლს შესანიშნავი ნიადაგი შეუქმნა და ღვივის ახლა. ეს თესლი ჯერჯერობით ნიადაგს არ ამოსცილებია (ჯერ კიდევ მძლავრობს გონიერება), მაგრამ თუ დასცალდა, ლაღადაც ამოიზიდება და შხამსასმელით გაჟღენთილი ნაყოფსაც გამოისხამს“ (კობერიძე, 1989: 2.). ამ სტატიის ავტორის წინასწარი პროგნოზი- სამწუხაროდ გამართლდა. სიყალბის ის თესლი, რომელიც მასაზე ზომბირების ფუნქციას ასრულებდა, გაღვივდა. საუბედუროდ, შუა აზიისა და რუსეთის სტეპებში მომთაბარე ტომების „შთამომავლებს“, რომლებსაც ანტიკურ და შუა საუკუნეების ეპოქაში ძარცვის, მტაცებლობისა და სისხლის ღვრის კლასიკური ფორმების გარდა, კაცობრიობისთვის კულტურის შემოქმედებითი ღირებულების თვალსაჩინოების იოტისოდენა ნიმუში არ მიუცია, მათი წარმომადგენლები დღეს, ჩვენს ისტორიულ ტერიტორიას გვედავება. ქართველთა აკადემიური სამეცნიერო წრეების მიერ დაფრთიანებულმა ოსმა „მეცნიერებმა“, სინამდვილის გაყალბების საფუძველზე გაწეული ფსევდომეცნიერული პროპაგანდისტული საქმიანობით, მეცნიერული კეთილსინდისიერების ზღვარის რუბიკონი გადალახა და ოსი ახალგაზრდების ცნობიერებაში, ცხინვალის რეგიონის ალენთა კუთვნილების და ქართველებისგან „დაიპყრობის“ მცდარი შეხედულება მყარად დაამკვიდრა. იმავე რუკის შემქმნელები, ფსევდო „მეცნიერული“ ხარისხის, მაგრამ პოლიგრაფიულად

მაღალ დონეზე გაფორმებულ წიგნებს რუსულ და სხვა ენებზე ბეჭდავდნენ, დღესაც ბეჭდავენ და საერთაშორისო ორ-განიზაციებში ავრცელებენ. ამ მიმართულებით საპასუხო ღონისძიებების გატარება, საქართველოს რეინტეგრაციის სამინისტროსა და „სამხრეთ ოსეთის“ დროებთი ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის ძირითადი ვალდებულებაა. სამწუხაროდ, აღნიშნული ორგანიზაციების მესვეურები, თითქმის სრულ უმოქმედობას იჩენენ, რის გამოც ოს მეცნიერებს საერთაშორისო მასშტაბით იდეოლოგიურ ფრონტზე მხრებგაშლით ნავარდის შესაძლებლობას აძლევენ.

ალან ჩოჩიევის მიერ შედგენილი ალანების განსახლების ზემო-აღნიშნული რუკის სიყალბის მეცნიერულად დადასტურებას, კატალონიელი ისტორიკოსის აგუსტო ალემანის წიგნი «Алани в древних и средновековых писменных источниках» წარმოადგენს. ეს ნაშრომი, 2003 წელს რუსულ ენაზე დაიბეჭდა (Алеман, 2003). ამ უაღრესად საყურადღებო გამოკვლევაში მოტანილი ფაქტებითა და მისი ანალიზით, აგუსტო ალემანმა მეცნიერულად დაასაბუთა, რომ ალანების ეთნიკური ჩამოყალიბების პროცესი კავკასიიდან შორს, ძალიან შორს განხორციელდა. ჰუნების შემოსევამდე მათი განსახლების არეალი ევრაზიის ვრცელი სტეპები იყო. ხოლო მოგვიანებით ჩრდილო კავკასიის ველები და არა სამხრეთ კავკასია.(თოფჩიშვილი, 2008:4). იმავე ა.ალემანის მიერ მოტანილი დოკუმენტების მიხედვით, IV საუკუნის 70- იან წლებში ჰუნებთან დაპირისპირების შემდეგ, ალანების ერთი ნაწილი დასავლეთ ევროპის მიმართულებით წავიდა სათარეშოდ, ხოლო მეორე ნაწილი, ჩრდილოეთ კავკასიის ბარის ველებზე დამკვიდრდა და მომთაბარეობიდან ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდა. ეს პროცესი დაედო საფუძვლად მათი სახელმწიფო წარმონაქმნის შექმნას, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნიდან იღებს სათავეს (თოფჩიშვილი, 2008:50).

თუკი ა. ალემანის მიერ მოტანილ უტყუარ საისტორიო წყაროებს დავეყრდნობით, მაშინ ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება; ალანური მომთაბარე ტომები, რომლებიც სარმატების განაყოფებადაა მიჩნეული, მათი საცხოვრისი სამხრეთ რუსეთის სტეპები და უკრაინის ტერიტორია იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ჩრდილო კავკასიის სტეპებიდანაც კი შორს იყვნენ. ამას იმავე ა.ალემანის ზემოაღნიშნულ წიგნში დაბეჭდილი რუკებიც ადასტურებს (თოფჩიშვილი, 2008:53).

აგუსტო ალემანის მიერ შედგენილ რუკებზე და ალანების განსახლებაზე დაწვრილებით ყურადღება იმისთვის შევაჩერეთ, რომ გვეჩვენებინა: 1)რა დონის ტყუილით დატვირთულ პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწეოდა და ეწევა ოსური სეპარატისტული ორგანიზაციები; 2)რა დონეზე აყალბებდნენ და აყალბებენ ისტორიულ სინამდვილეს; 3)რა ფორმით თესავდნენ და თესავენ ოს ახალგაზრდებში ქართველთა სიძულვილს, როგორც „პატარა იმპერიისა“ და „ალანების კუთვნილი“ მიწის „მიმტაცებლებისადმი“. ამ საკითხთან დაკავშირებით, რუსლან ჯანგობეგოვი 1989 წ. 8 დეკემბრის გაზ. ლიტერატურულ საქართველოში ოს სეპარატისტებს სავსებით მართებულად შეახსენებდა: „ვიბრძვით ტერიტორიისთვის, რომელიც არც ისტორიულად გვეკუთვნის და არც ანდერძით არის ნაბოძები. ჩვენ, ოსებს მართლაცდა ბევრი საჭირბოროტო საქმე გვაქვს მოსაგვარებელი.“

მართალია, საკითხი სწორი პოზიციიდან იყო დასმული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ოსი სეპარატისტების მხარდამხარ მდგომმა ოსური ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა, ქართველებისადმი თანადგომის ნაცვლად, მის საწინაარმდეგოდ გალესილი მახვილი აღმართა და ჯაყოიზმის მტაცებლური ბუნების სრულად გამოვლინებით, სხვის მიწაზე, ოსური სახელმწიფოს შექმნა განიზრახა. ამის აღსრულება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი შესტუმრებული გადამთიელი, აბორიგენ ერს მიწას წაართმევს და მას მკვიდრი მოსახლეობისგან სრულად მოასუფთავებს. ეს მეთოდი მსოფლიო ისტორიაში ცნობილი და აპრობირებულია. შორს რომ არ წავიდეთ, ასეთ ქმედებას ახორციელებდა სომხები 1918, 1919, 1920 წლებში მუსლიმი მოსახლეობის მიმართ. ტერიტორიის მოსუფთავებით, გაწმენდილ ადგილებში სომხების ჩასახლების შესაძლებლობას ქმნიდა. ანალოგიური მეთოდის გამეორება ჰქონდა ჩაფიქრებული ოს სეპარატისტებს ჯერ კიდევ XX საუკუნის 90- იან წლებში და ამის გაკეთებას, „ჩრდილოელი ძმის“- საბჭოთა რუსეთის მხარდაჭერით ფიქრობდნენ. ისტორიის უმძიმესი გამოცდილება გვასწავლის, რომ კუთვნილი მიწის სხვა სახელმწიფოსგან, ან სხვა ეროვნებისგან წართმევა, აბორიგენი ერის ხელოვნურ მკვლელობას ნიშნავს. ამ რეალობის გათვალისწინებიდან გამომდინარე, პროფ. ჯ. აფციაურმა, თავისი ნაფიქრალი მხატვრული ფორმით ჩამოძერწა და „ადამონ ნიხასელების“ ლიდერებს შეახსენა: „როცა სამაჩაბლოს- ამ ძველთაძველ ქართულ მიწას გვეცილებით, მარტო მამულს კი არ გვტაცებთ, წინაპართა საფლავებს გვითხრით, ეს მხოლოდ მიწა არ არის ჩვენთვის, ალან, გამშრალი ცრემლია, ჩვენთა დედათა და მამათა ფხვიერი ხორცია, ჩვენი სულის სავანეა და ახლა მიბრძანეთ, ჰგავხართ თუ არა იმ ყივჩაღს, მუხრანის ბოლოს რომ შემოხვდა კაცთმოყვარე და ჰუმანურ ქართველს... ქართველისათვის საქართველო მხოლოდ სამშობლო არ არის, რაღაც უფრო მეტია, თუკი არსებობს სამშობლოზე მეტი რამ- აი ის ჩვენი წინაპრების მღვიძარე საფლავებია, დედის მკერდს დაწაფებული ყრმაა, მსხმოიარე ვაზის გალობაა, ღვთისმშობლის სევდა და სიხარულია, ჩვენი შვილების თბილი აკვანია და საუფლოა, უფლის მიერ ჩვენთვის გამეტებული...“ ეს სულის შემძვრელი სიტყვები, XXI საუკუნის კოსმოპოლიტიზმის სენით შეპყრობილი ზოგიერთი ქართველი ახალგაზრდისა და ფულზე გაყიდული ორჯონიკიძისებურად მოაზროვნე „პოლიტიკოსთა“ გარკვეული ჯგუფისთვის ღიმილის მომგვრელია.

ქართველი ერის სასიცოცხლო მნიშვნელობის ზემოაღნიშნული საკითხისადმი XX ს- ის 20- იანი წლების ბოლშევიკური აზროვნებისათვის დამახასიათებელი ფორმით მიდგომა, ქართველთა არაკეთილმოსურნე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და თვით რუსეთის ხელისუფლებისგან გადმოსროლილი 30 ვერცხლის ზემოქმედების შედეგით უნდა აიხსნას. რაც შეეხება საქართველოს ისტორიული ტერიტორიების მიტაცება-შენარჩუნებისათვის გაწეულ ძალისხმევასთან მიმართებაში საზღვარგარეთის ქვეყნების წარმომადგენელთა დამოკიდებულებას, ამის შესახებ საინტერესო ფაქტია მოტანილი არჩილ ბეგიაშვილის საგაზეთო პუბლიკაციაში - „აუცილებელი დასკვნები.“ „ამ სტრიქონების ავტორს-

ვკითხულობთ წერილში, - სულ ცოტა ხნის წინათ მონაწილეობის მიღება მოუხდა საზღვარგარეთ ჩატარებულ კონფერენციაში. აქ ეროვნული ურთიერთობების უარყოფის მაგალითად ოსებისადმი, ქართველების დამოკიდებულება იქნა მოტანილი, ხოლო ქართველთა მიერ თავისი ისტორიული ტერიტორიის მთლიანობის შენარჩუნების სურვილი, ებრაელთა სახელმწიფოს ბიბლიური ტერიტორიების ფარგლებში აღდგენის მცდელობასთან იქნა გაიგივებული". ეს ფაქტი შემდეგ ძირითად გარემოებებზე მიგვანიშნებს: 1) მაშინდელი ოსურ- რუსული პროპაგანდა მაღალ დონეზე მუშაობდა და არსებულ სინამდვილეს, დამახინჯებული ფორმით აწვდიდა საერთაშორისო ორგანიზაციებს; 2) საქართველოს ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკური კურსი იმ მოტივით იყო მათთვის მიუღებელი, რომ ქართველები, თითქოს მიზანმიმართულად ჩაგრავდნენ ოსებს და ამ მეთოდით სურდათ, ებრაელთა მსგავსად ბიბლიური ისტორიული ტერიტორიის აღდგენა. ოსი იდეოლოგების მხრიდან ასეთი შეურაცმყოფელი პოზიციის გაბედული ფორმით საერთაშორისო ასპარეზზე საჯაროდ გახმოვანება, უცხოენოვანი ქართული საინფორმაციო საშუალებების სიმწირით იყო განპირობებული. საქართველოს, იმ ეტაპზე ინფორმაციის უცხოურ ენებზე გავრცელების ისეთი შესაძლებლობები არ გააჩნდა, რომელიც ევროპის ქვეყნებს თუნდაც ნაწილობრივად გადაფარავდა და ოსური სეპარატიზმის შესახებ დასაბუთებული ფორმით სიმართლეს მიაწვდიდა. მეორე მხრივ, დასავლეთ ევროპის ლიდერები, გორბაჩოვისეული „გარდაქმნით" იყვნენ ზომბირებულნი და საბჭოთა იმპერიის ნებისმიერ საწინაარმდეგო ქმედებას, მიუღებლად მიიჩნევდნენ. არსებული პოლიტიკური კონიუნქტურით, ოსი სეპარატისტები შესანიშნავად სარგებლობდნენ, ალან ჩოჩიევისეული „თეორიის" საფუძველზე, ცხინვალის რეგიონს, ოფიციალურად ალანების ისტორიულ საცხოვრისად აცხადებდნენ და საბჭოთა რუსეთთან მიერთებას მოითხოვდნენ. ამის დადასტურებას, „ოსეთის" მშრომელებისა და „ადამონ ნიხასის" სახელით, სსრკ უმაღლესი საბჭოს, სსრკ მინისტრთა საბჭოს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელზე 1989 წელს გაგზავნილი მიმართვა წარმოადგენს. ამ დოკუმენტის პირველ მუხლში დასმული იყო მოთხოვნა: „1) სკკპ ცკ პლენუმზე ეროვნული საკითხის შესახებ განხილული იქნას და გადაწყდეს სამხრეთ და ჩრდილო ოსეთის გაერთიანების პრობლემა, რითაც შესრულდება ყველა ოსის საუკუნოვანი ოცნება. ვთვლით, რომ ორი ნაწილის გაერთიანება გახდება იმ ისტორიული, პოლიტიკური და ეკონომიკური აბსურდისაგან თავის არიდების აქტი, როდესაც საერთო ტერიტორიის მქონე ერთი ერი, ორ ადმინისტრაციულ ერთეულადაა გაყოფილი ერთი დემოკრატიული სახელმწიფოს ფარგლებში და სხვადასხვა სახელმწიფოებრივ გაერთიანებებში იმყოფება". იმავე დოკუმენტის მიხედვით, აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტის პირველი საფეხურის შესრულების აუცილებელ პირობად, „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქისათვის, რესპუბლიკის სტატუსის მინიჭება იყო მიჩნეული. მიმართვის ავტორები იმედს გამოთქვამდნენ, რომ ეროვნული საკითხისადმი მიძღვნილ პლენუმზე, ორი ოსეთის გაერთიანებასთან

მიმართებაში მიღებული გადაწყვეტილებით, „ყველა ოსის საუკუნოვანი ოცნება“ საბოლოოდ იქნებოდა განხორციელებული. იმავდროულად აყენებდნენ საკითხს, საქართველოდან გასვლისა და ცენტრისადმი დაუყოვნებლივი დაქვემდებარების გადაწყვეტილების შესახებ, რაზედაც წერდა 1989 წლის 20 ოქტომბრის ლიტერატურული საქართველო.

აღნიშნული მოთხოვნის შესრულება, საქართველოს ტერიტორიის-ცხინვალის რეგიონის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მოქცევას ნიშნავდა. ამ საკითხს მაშინდელი ქართველი და ოსი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი გამოეხმაურა და ოსი სეპარატისტების მტაცებლური ჩანაფიქრის მიმართ მკაცრი შეფასება გააკეთა. ცნობილი ოსი პოეტი მზია ხეთაგური, „ადამონ ნიხასელებს“ შეახსენებდა, რომ „რუსეთთან შეერთების მოსურნეთ ქართული მიწის გაყოლიებაც რომ დაგიგეგმავთ, მიწა საგზალი როდია.“ ხოლო დავით გოგოჭური, საგაზეთო პუბლიკაციაში- „ღია წერილი კოლეგებს“, რომელიც ლიტერატურული საქართველოს 1989წ. 15 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა, ხაზგასმით წერდა: „ერის ისტორიული მიწა-წყალი ხაბიზგინა როდია, რომ რამდენიც გინდა ჩამოჭრა, გუდაში ჩადო და სადაც გინდა იქ წაიღო, ანდა სირჩასავით სხვას გადაულოცო... როგორ შეიძლება ლიდერობის ამბიციამ ისე გაგიტაცოს, რომ ერთ, სრულიად მარტივ ისტორიულ ვითარებაში ვერ ერკვეოდე. საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში, თუ ორივე მხარის თანხმობა არ იქნება, საზღვრის შეცვლა არ მოხდება, იმიტომ რომ თითქმის ყველა რესპუბლიკას, ოლქსა თუ ოკრუგს აქვს ობიექტური თუ სუბიექტური სასაზღვრო პრეტენზიები მეზობლების მიმართ... ვაი იმ თვალდახუჭულ „ლიდერს“ ვინც ვერ ითვალისწინებს ისტორიის გაკვეთილებს და თავისი მცირე ერის პოლიტიკას, მედროვეობასა და სხვათა მოიმედეობაზე აფუძნებს.“

დ.გოგოჭურის მიერ გამოთქმული საყვედური, სრულ ჭეშმარიტებას შეესაბამე-ბოდა, მაგრამ იმ ეტაპზე, საბჭოთა რუსეთის ხელისუფალთა მხრიდან წაქეზებული ოსი სეპარატისტები შეუსმენლობის პოლიტიკურ გზას ადგნენ. აკეთებდნენ იმას, რასაც ცენტრიდან კარნახობდნენ. ამ შემთხვევაში, ისინი კონსტიტუციით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. მათი ყოველი განცხადება, ოსური მოსახლეობის ეიფორიით დამძიმებაზე და ქართველი ერის მიმართ სიძულვილის გაატკეცებაზე იყო გათვლილი. მითუმეტეს, ოსი ლეპარატისტების ლიდერები, „ორი ოსეთის“ გაერთიანების ხელშემშლელად, ქართველი ერს ოფიციალურად „ადანაშაულებდნენ“.ი გამოყავდათ.

ქართული მიწების ჩამოჭრის დარუსეთის ფედერაციისათვის მიერთების შეუძლებლობაზე მიუთითა ოს სეპარატისტებს, ოსმა ენათმეცნიერმა ვასილ აბაევმაც. მხედველობაში გვაქვს „ნეზავისიმაია გაზეტაში“ № 13-ში 1992 წელს დაბეჭდილი პუბლიკაცია «Трагедия Южной Осетий». მისი ქართული თარგმანი იმავე წელს გაზეთ „თბილისში“ 23 იანვრის ნომერში დაიბეჭდა სათაურით- „სამხრეთ ოსეთის ტრაგედია: გზა თანხმობისკენ (ოსთა ჰუმანიტარული მეცნიერების პატრიარქის თვალსაზრისი).“ „მეცნიერული ეშმაკობის“ ფორმების მაღალ დონეზე გამოყენებიდან გამომდინარე, აღნიშნული პუბლიკაცია, ურთიერთგამომრიცხავ შეხედულებებს შეიცავს.

ამ შემთხვევაში ორ ძირითად საკითხზე შევაჩერებთ ყურადღებას: 1) ფართო საზოგადოების მოსაჩვენებლად და ობიექტურად მოაზროვნე პიროვნების იმიჯის შესანარჩუნებლად, ვასილ აბაევი სამხრეთელი და ჩრდილოეთელი ოსების გაერთიანების შეუძლებლობაზე მიუთითებდა ოს სეპარატისტებს და იქვე დასძენდა: „სამხრეთელი ოსების (საქართველოს ოსების შ.ვ.) თავიანთი ჩრდილოელი თანამოძმეებისკენ ლტოლვა, ადამიანურად გასაგებია, მაგრამ გეოპოლიტიკური პლანით იგი მცდარია. კავკასიონის მთავარი ქედი ბუნებრივი საზღვარია საქართველოსა და ოსეთს შორის და ყოველგვარ ცდას ამ საზღვრის წაშლისა, მოჰყვება პერმანენტული კონფლიქტური ვითარება ქართველებსა და ოსებს შორის. იმისთვის, რომ ტრადიციული მეგობრობის კალაპოტში დავაბრუნოთ ორი ხალხის ურთიერთობა, უწინარესად უნდა მოვსპოთ ლაპარაკი სამხრეთ ოსეთის საქართველოსგან გამოყოფაზე. საქართველოს არცერთი მთავრობა ამ აზრს არასოდეს არ დაეთანხმება და მართალიც იქნება, იმიტომ რომ ეს იქნება საქართველოს მთლიანობის ტერიტორიული დარღვევა.“ ამ ვრცელ ამონაწერში მოტანილი შეხედულება, სავსებით მისაღებია, რადგან, ვ.აბაევმა ოს სეპარატისტებს პირდაპირ მიანიშნა: ა)„ორი ოსეთის“ გაერთიანების შეუძლებლობაზე; ბ)საქართველოსა და ოსეთის წყალგამყოფის- კავკასიონის მთების ბუნებრივი საზღვარის ხელოვნურად წაშლის დაუშვებლობაზე; 2)ასეთი ფონის შექმნის მიუხედავად, ვ.აბაევი, არსად არ ახსენებდა, რომ ის ტერიტორია, რომელზედაც ცხინვალის რეგიონის ოსები სახლობს, საქართველოს ისტორიულ კუთვნილებას რომ წარმოადგენს. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტისადმი გვერდის ავლა, მან შეგნებულად განხორციელდა. ასეთი ქმედებით, მას შესაძლებლობა მიეცა, მსჯელობა სხვა მიმართულებით გადაეტანა და ოსი სეპარატისტებისათვის შეფარვითი ფორმით ეთქვა, რომ ცხინვალის რეგიონი ოსური ტერიტორიაა და იგი ჩრდილოეთ ოსეთისგან ხელოვნურად იყო ჩამოცილებული. ამის თქმის შესაძლებლობას, ვ.აბაევის მიერ საფრანგეთის ბასკებთან, „სამხრეთ ოსეთის“ პარალელის გავლების ფაქტი იძლევა. „საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთში- წერს იგი,- არსებობს ბასკების ეროვნული ოლქი. იქაური ბასკები სარგებლობენ კულტურული ავტონომიით, შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ენა, აქვთ თავიანთი სკოლები, ცოცხალი კავშირი აქვთ თავიანთ თანამოძმეებთან პირენეის ნახევარკუნძულზე. მაგრამ მათ რომ მოესურვებინათ თავიანთი ტერიტორიის ესპანეთთან შეერთება, საფრანგეთი ამაზე არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდა. იგივე ვითარებაა სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის საზღვრებზე, საქართველოსა და რუსეთს შორის.“ (თბილისი, 1992: 23 იანვარი). ამ შედარების აბსურდობა და მისი დემაგოგიურობა კარგად წარმოაჩინა პროფ. ა.სონღულაშვილმა (სონღულაშვილი, 2009: 128). იმ შემთხვევაში თუკი საფრანგეთის ბასკებთან ცხინვალის რეგიონის ოსების შედარების ვასილ აბაევისეულ შეხედულებას გავიზიარებთ, მაშინ, ცხინვალის რეგიონის ტერიტორია, ისტორიულად ოსების კუთვნილ სამშობლოდ და ქართველებისგან შემდეგ პერიოდში დაპყრობილად უნდა გამოვაცხადოთ. ამაზე მიგვანიშნებს საფრანგეთ-ესპანეთს შორის XVI საუკუნეში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები,

რის შედეგადაც, ბასკების ტერიტორიის ერთი ნაწილი ესპანეთის, ხოლო მეორე ნაწილი საფრანგეთის ტერიტორიის ფარგლებში მოექცა. ამის შესახებ საქართველოს ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: „ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ბასკებმა შესძლეს მრავალრიცხოვანი დამპყრობლებისაგან (რომაელები, ვესტგუთები, არაბები და სხვა) თავის დაცვა და ფაქტობრივი დამოუ-კიდებლობის შენარჩუნება. XVI საუკუნეში ბასკების განსახლების ჩრდილოეთის რაიონები საფრანგეთის შემადგენლობაში შევიდა, სამხრეთი რაიონები კი XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ერთიანი ესპანეთის სახელმწიფოს გაერთიანებაში“ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1977: 22). ეს პროცედურა, საფრანგეთ-ესპანეთს შორის საომარი მოქმედებების შეწყვეტისა და დაზავების შედეგად განხორციელდა. აქედან გამომდინარე ისმება კითხვა: იმ შემთხვევაში, თუკი ვასილ აბაევის მხარდამჭერები საფრანგეთის ბასკებისა და საქართველოში მცხოვრები ცხინვალის რეგიონის ოსების პოლიტიკური მდგომარეობის ერთმანეთთან შედარებას დასაშვებად მიიჩნევენ, მაშინ მათმა შესაბამისი საარქივო დოკუმენტებით უნდა დაასაბუთონ, რომელი საომარი მოქმედებების, ან ვისთან დაზავების შედეგად აღმოჩნდა ოსებით დასახლებული ცხინვალის რეგიონი საქართველოს შემადგენლობაში. ამ შემთხვევაში, არც იმას გამოვრიცხავთ, რომ ალან ჩოჩიევის მსგავსმა ისტორიკოსის მანტიას ამოფარებულმა ფალსიფიკატორებმა, ფანტაზიის შედეგად „ახალი აღმოჩენები“ შესთავაზოს მკითხველ საზოგადოებას. სავსებით მართებულია იმავე ვასილ აბაევის მიერ ოსი სეპარატისტების მისამართით დამრიგებლური პოზიცია- „ვისაც სამხრეთ ოსეთელთა და ქართველთა შორის მშვიდობა უნდა, მან სამუდამოდ უნდა უარყოს სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთთან შეერთების იდეა. ვისაც საქართველოსა და რუსეთს შორის მშვიდობა სურს, ასევე უნდა თქვას უარი ამ იდეაზე. ასეთია რეალობა“.

ოსი სეპარატისტების მხრიდან ასეთი პოზიციის მიღება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუკი მისი ლიდერები ერთადერთ ჭეშმარიტებას- „სამხრეთ ოსეთად“ წოდებულ ტერიტორიას, საქართველოს სხეულის ისტორიულ ნაწილიად, ხოლო ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსებს, ჩამოსახლებულ და ქართველებისგან ხელგაშლით მიღებულად აღიარებდნენ. სამწუხაროდ, ამის საჯაროდ გახმოვანება ვასილ აბევსაც გაუჭირდა. იგი მხოლოდ ტერიტორიის კუთვნილების არდაკონკრეტებით და ცხინვალის რეგიონის დაკარგვისადმი ქართველებისგან არშერიგებაზე შეჩერდა. მისი პოზიცია, ოსების აღქმაში არგუმენტირებულად მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდა, პირდაპირ რომ ეთქვა- ცხინვალის რეგიონი ქართული სხეულის განუყოფელი ისტორიული ნაწილია და მის ჩამოჭრა-გასხვისებას, ქართველობა ვერ შეურიგდებაო. მისი ასეთი ქმედება, სინამდვილესთან მიმართებაში რეალური განაცხადი და ოსი სეპარატისტების დატუქსვა იქნებოდა. სამწუხაროდ, მან შემოვლითი გზა და მიკიბულ-მოკიბული პოზიცია აირჩია, რაც იმავე წერილში გამოვლინდა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ვასილ აბაევისთვის პრინციპულად მიუღებელი აღმოჩნდა „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ტერიტორიასთან მიმართებაში ტერმინის- სამაჩაბლოს გამოყენება. ვ.აბაევის მტკიცებით, საქართველოს სხვა

რეგიონებში არსებულ ფეოდალთა სამფლობელო მამულებს, რამდენადაც ფეოდალის სახელწოდებით არ მოიხსენიებდნენ, „სამხრეთ ოსეთისადმი“ სამაჩაბლოს ფორმის გამოყენება, ოსების შეურაცყოფას წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით იმავე პუბლიკაციაში იგი პრინციპულად სვამდა შეკითხვას: „რატომ სხვა რეგიონებისთვის არ აღადგენენ მკვიდრ ფეოდალურ სახელწოდებებს, ვთქვათ „საერისთავოს“, „საწერეთლოს“, რად უწოდებენ ამ მხარეებს კახეთს, ხევსურეთს და ა.შ.- იმის მიხედვით თუ ვინ სახლობს იქ. მარტო ოსეთს რად მოიხსენიებენ ყოფილი მემამულის გვარით? ცხადია,... იმად, რომ შეურაცყონ ოსები“ - აცხადებდა ვ. აბაევი გაზ. თბილისის აღნიშნულ ნომერში. .

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ვ.აბაევის მიხედვით, ამა თუ იმ ქართული ტერიტორიის სახელწოდება იმის მიხედვით უნდა განისაზღვროს, თუ რომელი ეროვნების ადამიანები ცხოვრობს მასზე. ვ.აბაევისეული პრინციპით თუკი ვიხელმძღვანელებთ და საქართველოში კომპაქტურად დასახლებული არაქართული მოსახლეობის მიხედვით დავარქმევთ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებს შესაბამის სახელებს, საქართველო „უცხო ქვეყნების“ (ოსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და ა.შ.) შემადგენელი კონგლომერატის სახეს მიიღებს. დედამიწის ზურგზე არ არსებობს ქვეყანა, სადაც სახელმწიფოებრივი ფორმის აღმნიშვნელი სახელი შერქმეოდეს იმ ტერიტორიულ დასახლებას, რომელზედაც უცხო ქვეყნებიდან ჩასახლებული ეროვნებები ცხოვრობს. მსოფლიოს ცივილური ქვეყნებისთვის მიუღებელი ზემოაღნიშნული აბსურდის პრაქტიკულად გატარების აუცილებლობას, მხოლოდ საქართველოში მიიჩ-ნევდა ვასილ აბაევი დასაშვებად. ამ შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებისთვის მუხლჩაუხრელად იბრძოდა და იბრძვის ქართულ მიწაზე ხიზანის სტატუსით შემოსული ოსები, რომლებიც „სამხრეთ ოსეთის“ სახელმწიფოებრიობის შექმნაზე აცხადებს პრეტენზიას. სამწუხაროთ, ამ გაუგონარი ანომალიის მხარდაჭერის როლში ცნობილი ოსი მეცნიერი ვ.აბაევი გამოვიდა. ერთი რამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ის ტერიტორია, რომელიც „ამხრეთ ოსეთად“ იწოდება და რომელზედაც ოსები აცხადებენ პრეტენზიას მარტო სამაჩაბლო არ არის. იგი მოიცავს: 1)სამაჩაბლო მდებარეობს მდინარე დიდი ლიახვის შუა და ზემო წელზე, აჩაბეთის ხევში. მის შემადგენლობაში შედის: ჯავა, სოფ. დირბი, ცხინვალი, სოფ. აჩაბეთი, სოფ. თამარაშენი; 2)სამაჩაბლოს აღმოსავლეთით, ქსნის საერისთავოდან: ახალ-გორის რაიონი; 3)სამაჩაბლოს ჩრდილო-დასავლეთით, რაჭის საერისთავოდან: საჯაფარიძეოს მამულის ნაწილი; 4)სამაჩაბლოს სამხრეთ-დასავლეთით, არგვეთის საერისთავოდან: საწერეთლოს მამულის ნაწილი; 5)სამაჩაბლოს სამხრეთ-დასავლეთით: საყაფლანიშვილო; 6)სამაჩაბლოს სამხრეთით: საფალავანდიშვილო; 7) საფავლენიშვილო 8)საამილახვრს მამულიდან: სამი სოფელი.

ჩვენს მიერ მოტანილი ზემოაღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, „სამხრეთ ოსეთის“ ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიის მიმართ შეკვეცილი ფორმის - სამაჩაბლოს გამოყენება არასწორია. მითუმეტეს, ამ სივრცეში სამაჩაბლო უმნიშვნელო ტერიტორიულ მონაკვეთს

წარმოადგენს. ქართველი სწავლულების ყველაზე დიდი ცდომილება იმაში მდგომარეობს, რომ „სამხრეთ ოსეთად“ დღეს მოაზრებულ ტერიტორიას, სხვათა და სხვათა წამხედურობიდან გამომდინარე, თავის დროზე შესატყვისი სრულყოფილი სახელწოდება ვერ გამოვუძებნეთ. ამ ფაქტორმა განსაკუთრებული როლი შეასრულა ოსების მხრიდან შიდა ქართლის მთიანი ზოლის დაკავებული ტერიტორიის ოსურ მიწებად გათავისების საქმეში. ამ მიმართულებით განსაკუთრებული როლი, საბჭოთა პერიოდში „სამხრეთ ოსეთის“ ოლქის მაღალჩინოსნების მხრიდან თვითნებურად გატარებულმა ქართველთმოძულეობის პროპაგანდისტულმა 70 წლიანმა საქმიანობამ და ისტორიული სინამდვილის მაღალ დონეზე გაყალბებამ შესრულა. ოსური ინტელიგენციის დიდი ნაწილის „ლოგიკა“ ასეთი იყო: „განა რამდენი წელიწადი უნდა იცხოვროს ხალხმა ამა თუ იმ მიწაზე, რომ ეს მიწა მისი გახდეს.“ ამ პრინციპით ზრდიდნენ ოს ახალგაზრდობას და მათ ცნობიერებაში ცხინვალის რეგიონის ქართული მიწა, ოსურ მიწად, ხოლო ქართველები დამპყრობლებად აღიქმებოდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ჟურნალისტმა თეონა მეგრელიშვილმა იმ ძნელბედობის პირობებში ცხინვალის რეგიონის ოსურ სოფლებში შეღწევა და თვით ოსებთან გასუბრება შეძლო. ის გაზ. ალიას 2004 წლის 13-14 ივლისისნომერში წერდა, რომ ერთ-ერთმა ცხინვალელმა ოსმა მანდილოსანმა დაუფარავად უთხრა: „ჩვენ ომი არ გვინდა, რატომ არ გვანებებენ თავს? ეს ოსეთის ტერიტორიაა, ქართველები თუ წესიერად მოიქცევიან, არც არავინ გაყრის აქედან. იცხოვრონ და იყვნენ, არც მაგათი ფქვილი გვინდა და არც მაგათი სასუქი“.

ოსური საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან ასეთი პოზიციის გამოვლინება, ცხინვალში გამომავალ პრესაში ათეული წლების მანძილზე დაბეჭდილი ყალბი ინფორმაციის შედეგიდან გამომდინარეობდა. ამის ერთ-ერთ დადასტურებას, პოლიტოლოგისა და მწერლის ვიქტორ ბაბაევის მიერ გაზეთ „სამხრეთ ოსეთში“ გამოქვეყნებული სტატია- „ოსეთი საკუთარი სამშობლოსა და ღირსებისთვის იბრძვის“- წარმოადგენს. მისი „მტკიცებით“, ქართველები „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე მისულებად, ხოლო ოსები აბორიგენ ერადაა გამოცხადებული. ანალოგიური პოზიცია გააჩნდა ალ.ჩოჩიევს, რომელმაც ქართველები საქართველოში სტუმრის სტატუსით „მონათლა“. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ იმ ეტაპზე ოსური საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი „მეცნიერების“ მხრიდან გავრცელებული ყალბი ინფორმაციის ჭეშმარიტებაში ოსური მოსახლეობის დაჯერება სირთულეებს არ წარმოადგენდა. სამწუხაროდ, ქართულ მხარეს უცხოენოვანი მასობრივი საინფორმაციო საშუალებები არ გააჩნდა. ის რაც ქართულად იბეჭდებოდა, მხოლოდ ქართველი მკითხველისათვის იყო ხელმისაწვდომი. ქართველების წინააღმდეგ რუსულ-ოსური ერთობლივი საინფორმაციო ომის ანალიზიდან გამომდინარე, ცნობილი ქართველი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი 1991 წ. 11 იანვრის გაზ. საქართველოს რესპუბლიკაში გულისტკივილით წერდა: „ვფიქრობ,... უარესი ისა გვჭირს, რომ ყველა ვიგინდარა ახერხებს, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი ქართველების წინააღმდეგ განაწყოს და ჩვენ კი ის ვერ შევძელით, ერთი მრავალეროვანი საინფორმაციო ბიულეტენი დავაარსოთ, სიმართლე

ვთქვათ და რუს, არარუს თუ ევროპელ ინტელიგენციას ფოსტით მაინც მივაწოდოთ“. ქართველთა მხრიდან ასეთი საინფორმაციო „კარჩაკეტილობა“ ოს სეპარატისტებს, ტყუილის სიმართლედ გასაღების მეტ შესაძლებლობას აძლევდა. მითუმეტეს, მათი სააგიტაციო საშუალებების გავრცელების საყრდენს, რუსულენოვანი პრესა და ტელევიზია წარმოადგენდა.

* * *

XX საუკუნის 90- იანი წლების პრესის ფურცლებზე დაბეჭდილი პუბლიკაციების საფუძვლიანი შესწავლა ადასტურებს, რომ ამ მასალების უმნიშვნელოვანესი ნაწილი, ოსი სეპარატისტების ლიდაერების და მისი მხარდამჭერი რუსი პოლიტიკოსების მხრიდან, ქართველთა მიმართ ცილისმწამებლური შეხედულებებითაა დატვირთული. იდეოლოგიურ ფრონტზე მათი ერთობლივად მოქმედება გაკვირვებას არ იწვევს, რადგან „ოსური იდეის“ შესრულებისთვის ბრძოლაში, „რუსული იდეაც“ იყო ჩადებული. ორივე მათგანი შიდა ქართლის გულის - ცხინვალის რეგიონის საქართველოდან ამოკვეთას და რუსეთთან მიერთებას ისახავდა მიზნად. რაც შეეხება ქართველების მიმართ ყალბი ბრალდებითი ინფორმაციის გავრცელებას, იგი ოსურ და რუსულენოვან მოსახლეობაზე ზემოქმედებისთვის იყო გათვლილი. ეს საინფორმაციო ომი, ოსებით დასახლებული ტერიტორიის არაქართული წარმომავლობის და „კაცი-ჭამია“, ქართველებთან ოსების თანაცხოვრების შეუძლებლობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე იყო გათვლილი.

ამ ამოცანის გადაწყვეტა, „ოსურ- რუსული იდეის“ პირველი საფეხურის მომზადებაზე იყო გათვლილი. ქართველებისადმი ზემოაღნიშნული ბრალდებებით დამძიმებული მასალებიდან, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „ოსი ინტელიგენციის მიმართვა ქვეყნის მეცნიერების, ხელოვნების მოღვაწეებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი“. ეს „დოკუმენტი“ გაზეთ „იზვესტიას“ 1991 წლის 13 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა. იგი დეზინფორმაციისა და ცილისწამების ზეაღმატებული ფორმის საუკეთესო ნიმუშია, რაც კი ოდესმე ქართველი ერის მიმართ უკადრებიათ. ამ მიმართვის შემქმნელების მიზანს, არსებული კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის გზების ძიების ნაცვლად, ოს- ქართველთა კონფლიქტის მაღალ დონეზე გაღრმავება წარმოადგენდა. ამ ფონზე ცდილობდნენ რუსეთის ფედერაციის მოსახლეობისა და საერთაშორისო ორ-განიზაციებისათვის ქართველებთან სამშვიდობო ურთიერთობაზე საუბარის შეუძლებლობა ემტკიცებინათ. ეს ჩანაფიქრი ქართველი მეცნიერების, ლიტერატურისა და კულტურის მოღვაწეებისათვის დღესავით ნათელი იყო. ამის დამადასტურებლად, ქართველ მეცნიერთა მიერ ოსი ინტელიგენციის ზემოაღნიშნული მიმართვის საპასუხოდ, შესაბამისი ხელმოწერებით მომზადებული წერილი გამოდგება. იგი იმავე წელს, რუსულ ენაზედაც ითარგმნა და სსრ კავშირის სახელისუფლებო უწყებებს გაეგზავნა. იმავდროულად პრესის ფურცლებზედაც დაიბეჭდა სათაურით- „ვიცოდეთ წარსული, ვხედავდეთ აწმყოს, ვიფიქროთ მომავალზე“. ამ დოკუმენტის შემდგენლებმა, აკადემიურ დონეზე გასცა დამაჯერებელი

პასუხი თითქმის ყველა იმ მტკივნეულ საკითხებს, რომელსაც ქართველთა დასადანაშაულებლად, ოსი სეპარატისტები ფაქტების დამახინჯებით და საფუძველზე მრუდე სარკეში წარმოჩენით რომ ცდილობდნენ.

ოსური ინტელიგენციის ზემოაღნიშნულ მიმართვაში განსაკუთრებულ ყურადღებას, ოსებისადმი სადამსჯელო ღონისძიებების გატარების შესახებ, ქართველებისადმი წაყენებული ბრალდება იქცევს. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ცილისწამების ის სახეობა, რომელიც ქართველების მიმართ ოსებმა გაახმოვანა, თავად ოსებმა განახორციელა ცხინვალის რეგიონის ქართულ მოსახლეობასთან მიმართებაში სინამდვილის ასეთი ფორმით გადაბრალების მეთოდის მატი მხრიდან გამოყენება, ორ ძირითად დატვირთვას ემსახურებოდა: 1) საერთაშორისო საზოგადოებისთვის, ქართველების სიველურისა და შეუბრალებელი ერის „დოკუმენტური მასალით“ ჩვენებას; 2)ამ ფონზე, ქართველებთან თანაცხოვრების შეუძლებლობას და საქართველოდან ტერიტორიულად „გაქცევის“ მიზანშეწონილობის გამართლებას. ამ დანაშაულებრივი ჩანაფიქრისთვის იდეოლოგიური ბაზის მომზადებას, ოსი სეპარატისტები ისევ რუსეთის მაღალჩინოსნების მხარდაჭერითა და რუსულენოვანი პრესის მეშვეობით ცდილობდნენ. ამის შესანიშნავ ნიმუშს, მოსკოვში გამომავალი ოსი ახალგაზრდების კავშირის «ИР»-ის რუსულენოვანი გაზეთის კორესპოდენტისადმი ალ. ჩოჩიევის მიერ მიცემული ინტერვიუ გამოდგება (ის ლიტერატურულმა საქართველომ გადმობეჭდა 1990 წ. 28 სექტემბერს). მისადმი ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება იმანაც განაპირობა, რომ იგი „ორი ოსეთის“ გაერთიანების იდეაზე არარეალური ანალოგიების გამოყენებას შეეცადა. მხედველობაში გვაქვს მის მიერ დასახელებული გერმანიის, კორეის, ჩრდილო და სამხრეთ იემენის გაერთიანების მსგავსად, საერთაშორისო ორგანიზაციებში „ორი ოსეთის“ გაერთიანების საკითხის დასმა. ამასთან დაკავშირებით იმავე ინტერვიუში ვკითხულობთ: „საერთოდ ჩვენს დიდ ეროვნულ მინუსად მიმაჩნია (მხედველობაში მაქვს ეროვნული პოლიტიკა, რომელსაც ჩვენი ოფიციალური ხელისუფლება ატარებს სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთში), მაგრამ, როცა მთელ მსოფლიოში ხდება ინტეგრაცია, განსაკუთრებით ერთ ეთნიკურ ფორმირებებში, ჩვენთან ოსეთის გაერთიანების თემა, რომელიც მართალია, „ადამონ ნიხასს“ პროგრამაში არა აქვს, მაგრამ ჩვენი ისტორიის მთელი საბჭოთა პერიოდის იდეაა, არ დაშავდება არც იდეოლოგიურად, არც პოლიტიკურად, არც იმ პუნქტებში, რომელიც ჩვენ გვაქვს „ადამონ ნიხასის“ პროგრამაში. იგულისხმება კულტურისა და ეკონომიკის ინტეგრაციული შესაძლებლობები. შეხედეთ უკვე ღიად ლაპარაკობენ გერმანიის გაერთიანებაზე, კორეის, ჩრდილო და სამხრეთ იემენის გაერთიანებაზე. თანაც ეს ხდება სავსებით სხვადასხვა სოციალური სისტემების მქონე სხვადასხვა სახელმწიფოების ჩარჩოში. ისღა გვრჩება ვივარაუდოთ, რომ ან საქართველოში სხვა სოციალური წყობილებაა (საყოფაცხოვრებო ანეკდოტებში ასეც იტყვიან), ხოლო რუსეთში, რომელსაც ჩრდილო ოსეთი ეკუთვნის, სხვა წყობაა. ან უფრო დრამატულ სიტუაციაში ვართ, ვიდრე გვგონია, ეგრეთწოდებული მრავალსუკუნოვანი „ძმობის“ წყალობით. ეს სიტყვა კიდევ დიდხანს იქნება ბრჭყალებში იმის მიხედვით,

თუ ვიმსჯელებთ, რა პროცესები მიმდინარეობს დიდ და მცირე იმპერიებში“.

ალ.ჩოჩიევის ინტერვიუდან მოტანილი ამ ვრცელი ამონაწერიდან კარგად ჩანს: 1)რუსეთის იმპერიის ფონზე საქართველო, მის მიერ პატარა იმპერიადაა წარმოდგენილი; 2)„ორი ოსეთის“ გაერთიანების თემა, ალ. ჩოჩიევის მტკიცებით, საბჭოთა პერიოდის ოსების იდეას წარმოადგენდა; 3) დასახული მიზნის განხორციელების შესაძლებლობა, ალ.ჩოჩიევის აზრით იმდენად იყო რეალური, რამდენადაც გერმანიის და კორეის გაერთიანების საკითხი იდგა იმ ეტაპზე დღის წესრიგში.

ამ მესამე „არგუმენტით“, ალ.ჩოჩიევმა, ჩრდილო და „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიები, ერთ სიბრტყეზე მოათავსა და ოსების კუთვნილი ისტორიული ტერიტორიების ფორმით მიაწოდა მკითხველ საზოგადოებას. იმავდროულად, ისეთი ფონი შექმნა, თითქოს, დიდმა და „პატარა“ იმპერიებმა - რუსეთმა და საქართველომ, „ერთიანი ოსეთის“ ერთმანეთში გადანაწილება მოახდინა. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ გერმანიის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად დაყოფა, ფაშიზმის დამარცხების, სსრკ- სა და მოკავშირე ქვეყნებს შორის გარიგებით განხორციელდა. რაც შეეხება კორეას, მისი ორ ნაწილად გაყოფა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აშშ- სა და სსრკ-ის დაპირისპირების შედეგს წარმოადგენდა. ორივე შემთხვევაში, გერმანელი და კორეელი ხალხების ისტორიული ტერიტორიების ორად გადანაწილება გარედან მოქმედი უძლიერესი სახელ-მწიფოების ზემოქმედებით იყო განპირობებული. ეს ისტორიული ფატია და მისი უარყოფა მხოლოდ ამოჩემებული ილუზიებით შეპყრობილ ადამიანებს შეუძლიათ.

რაც შეეხება ისტორიული ჩრდილო ოსეთის ტერიტორიის საქარ-თველოსთან მიერთებას, მისი გამმიჯნავი ხაზი კავკასიონის ქედია და რაც მთავარია, ჩრდილო ოსეთიდან საქართველოსთან დამაკავშირებელი გზა, როკის გვირაბის გახსნამდე (1985 წლის 5 ნოემბერი) თითქმის არ არსებობდა. ასეთი გზის შექმნისთვის იბრძოდა სხვადასხვა ფორმით სეპარატისტულად და „ოსური იდეით“ შეპყრობილი ოსური ინტელიგენცია 1922 წლიდან 1975 წლის 31 დეკემბრამდე, ვიდრე აღნიშნული გზის მშენებლობის პროექტს არ დაამტკიცებდნენ. მეორე მხრივ, დღემდე არ არსებობს არანაირი საარქივო დოკუმენტი, რომელიც ჩრდილო ოსეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ (შეიქმნა 1922 წლის 20 აპრილს) ტერიტორიული ერთიანობის მტკიცებულებად რომ გამოდგება. არც იმის შესახებ მოიპოვება რაიმე სახის დოკუმენტი, რომელიც გერმანიისა და კორეის ტერიტორიების დაყოფის მსგავსად, ოსი სეპარატისტების ფანტაზიით შექმნილი „ორი ოსეთის“ „ერთიანი“ ტერიტორიის გარედან ზემოქმედების ძალით რუსეთსა და საქართველოს შორის გადანაწილებას რომ დაადასტურებდა.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს, ალ.ჩოჩიევისა და მისი მხარდამჭერებისთვის უცხო არ იყო. ამ შემთხვევაში ისინი ოსურ მასაზე იდეოლოგიური ზემოქმედების მექანიზმს იყენებდნენ და ინტელექტუა-ლურად დაბალი დონის მოსახლეობაში ქართველების მიმართ სიძულვილის თესლს აღვივებდნენ. ყოველივე ამას, ა.სახაროვისეული „პატარა იმპერიის“ საქართველოსადმი ცილისმწამებლური აფიშირებით ახდენდნენ.

სამწუხაროდ, ალ.ჩოჩიევისა და მისი მსგავსი ფსევრო მეცნიერების ზღაპრებს, რუსული მასმედიის საშუალებები გაფეტიშების დონემდე უწევდა პოპულარიზაციას. ამ ქმედებით, რეგიონში დაძაბულ სუიტუაციას კიდევ უფრო ამწვავებდნენ. ამის ნათელ დადასტურებას გაზეთ „იზვესტიაში“ 1991 წლის 5 ოქტომბერს გამოქვეყნებული ინფორმაცია წარმოადგენს. იგი მკითხველ საზოგადოებას აუწყებდა, რომ „სამხრეთი“ და „ჩრდილოეთი“ ოსეთის გაერთიანების საკითხი, „ჩრდილო ოსეთის“ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მომდევნო სესიაზე იქნებოდა დასმული (საქართველოს უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991: 67).

აღნიშნული ფაქტიდან 4 თვეში (1992 წლის 19 იანვარი), „სამხრეთ ოსეთში“ რეფერენდუმი ჩატარდა ორი შეკითხვით: 1)„თანახმა ხართ თუ არა, რომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა იყოს დამოუკიდებელი“ და 2)„ეთანხმებით თუ არა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას რუსეთთან შეერთების შესახებ“. არსებული დოკუმენტური მასალების მიხედვით, რეფერენდუმი ყოველგვარ სამართლებრივ მხარეს სცილდებოდა. აქედან გამომდინარე, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ რუსეთის სახალხო დეპუტატთა VI ყრილობისადმი გაგზავნილ საგანგებო მიმართვაში (1992 წლის 30 მარტი) დასმული მოთხოვნა: 1992 წლის 19 იანვრის რეფერენდუმის შედეგების რეალიზაციისა და რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში „სამხრეთ ოსეთის“ შეყვანის შესახებ, განუხილველად იქნა დატოვებული. ამ შემთხვევაში ყველა ის კანონდარღვევები გაითვალისწინეს, რომელიც 1992 წლის 19 იანვარს ჩატარებული „სამხრეთ ოსეთის“ რეფერენდუმისათვის იყო დამახასიათებელი (ჟორჟოლიანი, თოიძე , ლეკიშვილი და სხვ. 1992: 16-17).

დასკვნები

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი დოკუმენტური მასალის გაანალიზების საფუძველზე, ნაშრომში დასაბუთებულია: 1)როკის გვირაბის მშენებლობის დამთავრება (1981 წლის 5 ნოემბერი) და საქართველო- რუსეთის დამაკავშირებელი საუღელტეხილო ცხინვალი- ჯავა- როკის სატრანსპორტო გზის ამოქმედება, შეტევითი ოსური სეპარატიზმის გაძლიერების ხელშემწყობი ფაქტორი გახდა. მათი ძალისხმევით: ა)„ორი ოსეთის“ („სამხრეთ ოსეთი“ და ჩრდილო ოსეთი) გაერთიანებისთვის ბრძოლა, ახალ საფეხურზე იქნა აყვანილი; ბ)ცხინვალი-ჯავა-როკის გზის მონაკვეთის სივრციდან, „ოსური იდეის“ ხელშემშლელი ქართული მოსახლეობის ეტაპობრივი გამოდევნა და გამონთავისუფლებული ტერიტორიების ოსური მოსახლეობით შევსება, ოსი სეპარატისტების მხრიდან ხელსაყრელი სიტუაციის შექმნისთანავე ხორციელდებოდა; 2)საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებისგან, ინტერნაციონალიზმის ნიღბით, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის მმართველი წრეებისათვის განუზომელი უფლებების მიცემამ, ოს სეპარატისტებს, ცხინვალის რეგიონის ქართული სოფლების საფეხურებრივად „ჩაყლაპვის“ შესაძლებლობა შეუქმნა; 3)დოკუმენტური

მასალით დასტურდება, რომ რუსეთის ხელისუფლების დაკვეთით გააქტიურებულმა ოსმა სეპარატისტებმა, ისტორიული სინამდვილის მრუდე სარკეში წარმოჩენით, ოსურ მოსახლეობაზე იდეოლოგიურ-პოლიტიკური ზემოქმედების რამდენიმე ფორმას მიმართა: ა)„ადამონ ნიხასის“ ლიდერის ალ.ჩოჩიევის მიერ ალანების „განსახლების“ შესახებ შედგენილი რუკით, სამხრეთ კავკასიაში ალანების ისტორიულ საცხოვრისად ცხინვალის რეგიონი, - მიზანმიმართულად იქნა გამოცხადებული; ბ)„ორი ოსეთის“ გაერთიანების ალ.ჩოჩიევისეული იდეიისადმი ცხინვალის რეგიონის ოსური ინტელიგენციის დიდი ნაწილის მხარდაჭერა, ოსურ მოსახლეობაში „სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის“ ქართველებისგან „დაპყრობის მტკიცებულების“ შექმნაზე და მათდამი სიძულვილის გაღრმავებაზე იყო გათვლილი; 4) ქართული საზოგაროებრივი აზრის წარმომადგენლებისა და ჭეშმარიტების დაცვის საფეხურზე მდგომი ოსური ინტელიგენციის (მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები, სტუდენტები) ერთობლივი ძალისხმევით, პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში საფუძვლიანად იქნა დასაბუთებული: ა) ოსი ხალხის კულტურული და ეროვნული იდენტობის შენარჩუნების გარანტიის შექმნა, მხოლოდ ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში ოს-ქართველთა თანაცხოვრებით იყო შესაძლებელი; ბ) „სამხრეთ ოსეთის“ ჩრდილოეთთან მიერთების ფართომასშტაბიანი პროპაგანდა, ა.სახაროვისეული „ჰიპოთეზის“ - საქართველოს, როგორც „პატარა იმპერიის“ დაშლას ისახავდა მიზნად და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებას შეიცავდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

Aleman, A. (2003). *Alani v drevnix i srednovekovix pismennix istochnikax.* Moskva: izdatelstvo “menedJer”. (Алемань, А. (2003). *Аланы в древних и средновековых писменных источниках.* Москва: Издательство «Менеджер»).

kharadze, k. (1996). ristvis an vistvis ashenda tskhinval-alagiris saugheltekhilo avtomagistrali?! *osta sakitxi*. tbilisi: gamomtsemloba “pitagora”. (ხარაძე, კ. (1996). რისთვის ან ვისთვის აშენდა ცხინვალ-ალაგირის საუღელტეხილო ავტომაგისტრალი?! *ოსთა საკითხი.* თბილისი: გამომცემლობა „პითაგორა“.).

koberidze, m.(1989. gazeti *“soplis tskhovreba”.* № 263. 17 noemberi. tbilisi. (კობერიძე, მ. (1989). ვინ ცდილობს ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერას. გაზეთი *„სოფლის ცხოვრება“.* (1989). № 263. 17 ნოემბერი. თბილისი.)

topchishvili, r. (2008). *osta tsinapari alanebis tavdapirveli gansakhlebis areali*. tbilisi: gamomtsemloba “tbilisis saxelmtsipo universiteti”. (თოფჩიშვილი, რ. (2008). *ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი.* თბილისი: გამომცემლობა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“).

songulashvili, A. (2009). *samkhret oseti sakartveloshi?!* tbilisi: gamomtseloba “universali” (სონღულაშვილი, ა. (2009). *სამხრეთ ოსეთი საქართველოში?!* თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“).

sakartvelos respublikis uzenaesi sabchos utsqebebi. (1991). № 10. tbilisi: gamomcemloba “samshoblo”. (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები. (1991). № 10. თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“.).

zhorzholiani, g. toidze, l. lekishvili, s. mataradze, l. khoshtaria-brose, e. (1992). *kartul-osuri konpliktis istoriuli da politikur-samartlebrivi aspektebi da misi mogvarebis dziritadi gzebi.* tbilisi. gamomtsemloba “metsniereba”. (ჟორჟოლიანი, გ. თოიძე, ლ. ლეკიშვილი, ს. მატარაძე, ლ. ხოშტარია-ბროსე, ე. (1992). *ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკურ- სამართლებრივი ასპექტები და მისი მოგვარების ძირითადი გზები.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“).